სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

23 ივლისი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 113

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის N85/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N60 ბრძანებით დამტკიცებული კონკურის პირობების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სამსახურებრივი ბარათის (N895338, 23.07.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი:

პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება
SPF-24-092	ქართველები საზღვარგარეთ - ეგვიპტე

2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2024 წლის 5 აგვისტოს 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

   ა) იურიდიული პირის ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება დაფინანსების თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

   ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიული პირს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 30 აგვისტოსი.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი